

შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი“
ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1-3
ფინანსური ანგარიშგება	4
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები	
1. კორპორაციული საქმიანობა	8
2. სააღრიცხვო პოლიტიკის არსებითი პრინციპები	8
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები	19
4. გაცემული სესხები	21
5. ძირითადი საშუალებები	24
6. დეპოზიტები	25
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, წმინდა	25
8. ფული და ფულის ეკვივალენტები	25
9. საიჯარო ვალდებულება	26
10. სახელშეკრულებო ვალდებულება	26
11. მიღებული გრანტები	26
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	26
13. კაპიტალი	27
14. ამონაგები სტუდენტების მომსახურებიდან	27
15. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	27
16. გრანტებთან დაკავშირებული ხარჯები	27
17. კომუნალური ხარჯები	27
18. მომსახურება და სხვა ხარჯები	28
19. სხვა საოპერაციო ხარჯი	28
20. საპროცენტო შემოსავალი	29
21. მოგება/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან, წმინდა	29
22. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი, წმინდა	30
23. ფინანსური რისკის მართვა	30
24. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები	33
25. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება	34
26. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	35
მმართველობის ანგარიშგება	36

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის“ მფლობელებსა და ხელმძღვანელებს:

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის“ (შემდგომში „უნივერსიტეტი“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს უნივერსიტეტის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ უნივერსიტეტისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომელიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოება - შესადარისი ინფორმაციის შესწორება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლის კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში ჩვენ ასევე ჩავატარეთ 25-ე შენიშვნაში წარმოდგენილი შესწორებების აუდიტიც, რომელიც ეხება მენეჯმენტის მიერ გამოქვეყნებულ 2023 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 1 იანვარს დასრულებული საანგარიშგებო წლების ფინანსურ ანგარიშგებას. ჩვენი აზრით მსგავსი შესწორებები მიზანშეწონილი და სწორია. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია: უნივერსიტეტის მმართველობის ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს უნივერსიტეტის მმართველობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებითად თანხვედნილი და მარეგულირებელ ნორმატიულ აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის განცხადება. ამასთან დაკავშირებით არაფერი გვაქვს განსაცხადებელი.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფას-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს უნივერსიტეტის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია უნივერსიტეტის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს უნივერსიტეტის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან უნივერსიტეტის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამოზრუნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ უნივერსიტეტის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა უნივერსიტეტის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდოფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის

თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება უნივერსიტეტი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე, უნივერსიტეტის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხდენილია 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის უნივერსიტეტის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

გელა მღებრიშვილი, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-965518)

შპს „ნექსია ჯორჯია“ (SARAS-F-550338)

30 სექტემბერი, 2025 წელი

თბილისი, საქართველო



შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათას ლარში)

		31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023 (გადაანგარიშებული)	1 იანვარი 2023 (გადაანგარიშებული)
გრძელვადიანი აქტივები				
გაცემული სესხები	4	12,030	7,437	4,367
ძირითადი საშუალებები	5	824	853	810
აქტივი გამოყენების უფლებით	5	1,160	874	1,070
არამატერიალური აქტივები		136	331	223
დეპოზიტები	6	-	7,748	-
გრძელვადიანი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, წმინდა	7	33,135	25,882	19,931
სულ გრძელვადიანი აქტივები		47,285	43,125	26,401
მიმდინარე აქტივები				
მარაგები		139	164	152
გაცემული სესხების მიმდინარე ნაწილი	4	4,727	3,085	2,378
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, წმინდა	7	484	857	843
წინასწარ გადახდილი გადასახადი, მოგების გარდა		71	84	69
წინასწარგადახდილი მოგების გადასახადი		106	107	108
დეპოზიტები	6	18,482	2,685	8,665
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	7,695	14,938	13,325
სულ მიმდინარე აქტივები		31,704	21,920	25,540
სულ აქტივები		78,989	65,045	51,941
გრძელვადიანი ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება	9	1,178	794	975
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,178	794	975
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სახელშეკრულებო ვალდებულება	10	5,439	5,570	5,868
მიღებული ავანსები		309	438	33
მიღებული გრანტები	11	1,012	1,005	376
მიმდინარე საიჯარო ვალდებულება	9	61	181	158
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	451	573	669
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		7,272	7,767	7,104
სულ ვალდებულებები		8,450	8,561	8,079
საწედებო კაპიტალი	13	294	294	294
გაუნაწილებელი მოგება		70,245	56,190	43,568
სულ კაპიტალი		70,539	56,484	43,862
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		78,989	65,045	51,941

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2025 წლის 30 სექტემბერს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:


გეგა გოგიჩაშვილი
ფინანსური დირექტორი


ვახტანგ ლეჟავა
რექტორი

შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათას ლარში)

		31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023 (გადაანგარიშებული)	1 იანვარი 2023 (გადაანგარიშებული)
გრძელვადიანი აქტივები				
გაცემული სესხები	4	12,030	7,437	4,367
ძირითადი საშუალებები	5	824	853	810
აქტივი გამოყენების უფლებით	5	1,160	874	1,070
არამატერიალური აქტივები		136	331	223
დეპოზიტები	6	-	7,748	-
გრძელვადიანი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, წმინდა	7	33,135	25,882	19,931
სულ გრძელვადიანი აქტივები		47,285	43,125	26,401
მიმდინარე აქტივები				
მარაგები		139	164	152
გაცემული სესხების მიმდინარე ნაწილი	4	4,727	3,085	2,378
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, წმინდა	7	484	857	843
წინასწარ გადახდილი გადასახადი, მოგების გარდა		71	84	69
წინასწარგადახდილი მოგების გადასახადი		106	107	108
დეპოზიტები	6	18,482	2,685	8,665
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	7,695	14,938	13,325
სულ მიმდინარე აქტივები		31,704	21,920	25,540
სულ აქტივები		78,989	65,045	51,941
გრძელვადიანი ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება	9	1,178	794	975
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,178	794	975
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სახელშეკრულებო ვალდებულება	10	5,439	5,570	5,868
მიღებული ავანსები		309	438	33
მიღებული გრანტები	11	1,012	1,005	376
მიმდინარე საიჯარო ვალდებულება	9	61	181	158
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	451	573	669
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		7,272	7,767	7,104
სულ ვალდებულებები		8,450	8,561	8,079
საწედებო კაპიტალი	13	294	294	294
გაუნაწილებელი მოგება		70,245	56,190	43,568
სულ კაპიტალი		70,539	56,484	43,862
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		78,989	65,045	51,941

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2025 წლის 30 სექტემბერს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:


Zviada Gogiani
ფინანსური დირექტორი


Vazha Lashvili
რექტორი

შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი“
 მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
 (ათას ლარში)

	შენიშვნა	2024	2023 (გადაანგარიშებული)
ამონაგები			
ამონაგები სტუდენტების მომსახურებიდან	14	20,017	19,648
გრანტებთან დაკავშირებული შემოსავალი		527	212
სულ საოპერაციო შემოსავალი		20,544	19,860
საოპერაციო ხარჯები			
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	15	(7,530)	(7,275)
გრანტებთან დაკავშირებული ხარჯები	16	(496)	(275)
კომუნალური ხარჯები	17	(483)	(424)
მომსახურების და სხვა ხარჯები	18	(356)	(337)
საექვო მოთხოვნების ანარიცხის ცვლილება	7	(345)	(191)
ცვეთა და ამორტიზაცია	5	(282)	(278)
წარმომადგენლობითი ხარჯი		(253)	(31)
მარკეტინგის და სარეკლამო ხარჯი		(173)	(168)
სხვა საოპერაციო ხარჯები	19	(753)	(426)
საოპერაციო მოგება		9,873	10,455
საპროცენტო შემოსავალი	20	7,159	6,022
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან, წმინდა	21	440	(1,060)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	22	(3,417)	(2,795)
მოგება დაზღვრამდე		14,055	12,622
მოგების გადასახადი		-	-
წლის წმინდა მოგება		14,055	12,622
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის მთლიანი სრული შემოსავალი		14,055	12,622

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2025 წლის 30 სექტემბერს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

გეგა გოგიჩაშვილი
 ფინანსური დირექტორი


ვახტანგ ლეჟავა
 რექტორი

შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი“
 მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
 (ათას ლარში)

	შენიშვნა	2024	2023 (გადაანგარიშებული)
ამონაგები			
ამონაგები სტუდენტების მომსახურებიდან	14	20,017	19,648
გრანტებთან დაკავშირებული შემოსავალი		527	212
სულ საოპერაციო შემოსავალი		20,544	19,860
საოპერაციო ხარჯები			
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	15	(7,530)	(7,275)
გრანტებთან დაკავშირებული ხარჯები	16	(496)	(275)
კომუნალური ხარჯები	17	(483)	(424)
მომსახურების და სხვა ხარჯები	18	(356)	(337)
საექვო მოთხოვნების ანარიცხის ცვლილება	7	(345)	(191)
ცვეთა და ამორტიზაცია	5	(282)	(278)
წარმომადგენლობითი ხარჯი		(253)	(31)
მარკეტინგის და სარეკლამო ხარჯი		(173)	(168)
სხვა საოპერაციო ხარჯები	19	(753)	(426)
საოპერაციო მოგება		9,873	10,455
საპროცენტო შემოსავალი	20	7,159	6,022
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან, წმინდა	21	440	(1,060)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	22	(3,417)	(2,795)
მოგება დაბეგვრამდე		14,055	12,622
მოგების გადასახადი		-	-
წლის წმინდა მოგება		14,055	12,622
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის მთლიანი სრული შემოსავალი		14,055	12,622

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2025 წლის 30 სექტემბერს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:


 გიორგი გოგიჩაშვილი
 ფინანსური დირექტორი


 ვასტანა ლეჟავა
 რექტორი

შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი“
 კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
 (ათას ლარში)

	შენიშვნა	საკუთარი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
დეკემბერი 31, 2022	13	294	69,326	69,620
გადაანგარიშების ეფექტი		-	(25,758)	(25,758)
იანვარი 1, 2023 (გადაანგარიშებული)		294	43,568	43,862
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	13	-	12,622	12,622
დეკემბერი 31, 2023 (გადაანგარიშებული)		294	56,190	56,484
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-	14,055	14,055
დეკემბერი 31, 2024	13	294	70,245	70,539

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2025 წლის 30 სექტემბერს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:


გეგა გოგიჩაშვილი
 ფინანსური დირექტორი


ვახტანგ ლეჟავა
 რექტორი

შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი“
 კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
 (ათას ლარში)

	შენიშვნა	საკუთარი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
დეკემბერი 31, 2022	13	294	69,326	69,620
გადაანგარიშების ეფექტი		-	(25,758)	(25,758)
იანვარი 1, 2023 (გადაანგარიშებული)		294	43,568	43,862
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	13	-	12,622	12,622
დეკემბერი 31, 2023 (გადაანგარიშებული)		294	56,190	56,484
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-	14,055	14,055
დეკემბერი 31, 2024	13	294	70,245	70,539

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2025 წლის 30 სექტემბერს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:


 გიორგი გოგრიჩაშვილი
 ფინანსური დირექტორი


 ვასტანა ლეჟვა
 რექტორი

შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი“
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
კლიენტებისგან მიღებული თანხები		15,321	15,249
თანამშრომლების მიმართ გადახდილი თანხები		(6,052)	(5,434)
მომწოდებლების მიმართ გადახდილი თანხები		(3,220)	(2,057)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		6,049	7,758
გადახდილი გადასახადი		(1,843)	(1,732)
საოპერაციო საქმიანობაში გახარჯული წმინდა ფულადი სახსრები		4,206	6,026
საინვესტიციო საქმიანობა			
დეპოზიტზე თანხის განთავსება		(14,113)	(7,741)
დეპოზიტის დახურვა		7,000	5,408
სესხის გაცემა	4	(5,380)	(3,450)
მიღებული პროცენტი დეპოზიტიდან		1,305	2,092
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები		(11,188)	(3,691)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები			
იჯარის გადახდა	9	(312)	(307)
სულ საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		(312)	(307)
წმინდა ფულის და ფულის ეკვივალენტების ზრდა / (შემცირება)		(7,294)	2,028
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	8	14,938	13,325
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულის ეკვივალენტებზე		51	(415)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს		7,695	14,938

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2025 წლის 30 სექტემბერს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:


გეგა გოგიჩაშვილი
 ფინანსური დირექტორი


ვახტანგ ლეჟავა
 რექტორი

შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი“
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
კლიენტებისგან მიღებული თანხები		15,321	15,249
თანამშრომლების მიმართ გადახდილი თანხები		(6,052)	(5,434)
მომწოდებლების მიმართ გადახდილი თანხები		(3,220)	(2,057)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		6,049	7,758
გადახდილი გადასახადი		(1,843)	(1,732)
საოპერაციო საქმიანობაში გახარჯული წმინდა ფულადი სახსრები		4,206	6,026
საინვესტიციო საქმიანობა			
დეპოზიტზე თანხის განთავსება		(14,113)	(7,741)
დეპოზიტის დახურვა		7,000	5,408
სესხის გაცემა	4	(5,380)	(3,450)
მიღებული პროცენტი დეპოზიტიდან		1,305	2,092
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები		(11,188)	(3,691)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები			
იჯარის გადახდა	9	(312)	(307)
სულ საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		(312)	(307)
წმინდა ფულის და ფულის ეკვივალენტების ზრდა / (შემცირება)		(7,294)	2,028
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	8	14,938	13,325
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულის ეკვივალენტებზე		51	(415)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს		7,695	14,938

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2025 წლის 30 სექტემბერს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:


 გიორგი გოგიანი
 ფინანსური დირექტორი


 ვახტანგ ლელევა
 რექტორი

1. კორპორაციული საქმიანობა

შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი“ (შემდგომში „უნივერსიტეტი“) დაფუძნდა და რეგისტრირებულია საგადასახადო ორგანოში 1995 წელს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ოპერირებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონისა და უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე. უნივერსიტეტის საიდენტიფიკაციო კოდი: 211359448.

უნივერსიტეტი წარმოადგენს არასამთავრობო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც დაარსდა და 100% წილის მფლობელი 2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის არის ა(ა)იპ ცოდნის ფონდი (დირექტორი ანასტასია ბენდუქიძე). უნივერსიტეტის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საგანმანათლებლო საქმიანობა.

უნივერსიტეტს აქვს როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო, სადოქტორო და პროფესიული პროგრამები.

უნივერსიტეტის სარეგისტრაციო მისამართი: #240 დავით აღმაშენებლის ხეივანი, თბილისი, საქართველო. უნივერსიტეტის რექტორი არის ვახტანგ ლეჟავა.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის არსებითი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის არსებითი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები აღწერილია შენიშვნა 2-ში, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 განმარტებით შენიშვნაში.

თანხები მოცემულია საქართველოს ეროვნულ ვალუტა - ათას ქართულ ლარში.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ მოამზადა მოცემული ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა უნივერსიტეტის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადები, უნივერსიტეტის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

საანგარიშგებო ვალუტა, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

უნივერსიტეტის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL).

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის ფულადი ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
1 აშშ დოლარი/ ლარი	2.8068	2.6894
1 ევრო/ლარი	2.9306	2.9753

2. სააღრიცხვო პოლიტიკის არსებითი პრინციპები (გაგრძელება)

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ უნივერსიტეტის სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საანგარიშგებო პერიოდი

უნივერსიტეტის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 კალენდარულ წელს: 1 იანვრიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით.

ახალი და რედაქტირებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) გამოყენება

შემდეგი ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები შევიდა ძალაში 2024 წლის 1 იანვრიდან:

ამ რედაქციაში შესული ცვლილებები ძალაში შედის 2024 წლის 1 იანვრიდან და მოიცავს ხუთი საბუღალტრო სტანდარტის ცვლილებას.

დეტალები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილსა და შემდგომ შეჯამებებში:

ცხრილი – ახალ მოთხოვნები, რომლებიც ძალში შედის 2024 წლის 1 იანვრიდან			
სტანდარტი/შესწორება	გამოცემის თარიღი	ძალში შესვლის თარიღი (აღწერულ გამოყენება შესაძლებელია, თუ სხვაგვარად არის აღნიშნული)	შესწორებულ სტანდარტები/ინტერპრეტაციები
ვაღებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე ან არამიმდინარე ვაღებულებად (ბასს 1-ის შესწორება)	იან-20	1-იან-24	ბასს 1
გაქირავების ვაღებულება გაყიდვაში და უფუ გაქირავებაში (ფასს 16-ის შესწორება)	სექ-22	1-იან-24	ფასს 16
არამიმდინარე ვაღებულებები გარანტიებით (ბასს 1-ის შესწორება)	ოქტ-22	1-იან-24	ბასს 1
მოწოდებლების დფანანსების შეთანხმებები (ბასს 7 და ფასს 7-ის შესწორებები)	მაი-23	1-იან-24	ბასს 7, ფასს 7
საერთაშორისო საგადასახადო რეგულაცია — (ბასს 12-ის შესწორებები)	მაი-23	1-იან-23	ბასს 12

ვაღებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე ან არამიმდინარე ვაღებულებად

ბასს 1 „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“-ში შეტანილი ცვლილებები ცხადყოფს კრიტერიუმს, რომლის მიხედვითაც ვაღებულება არამიმდინარე უნდა ჩაითვალოს: კერძოდ, კომპანიას უნდა ჰქონდეს უფლება ვაღებულების ანგარიშსწორების გადავადების არანაკლებ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში.

გაქირავების ვაღებულება გაყიდვაში და უფუგაქირავებაში

ფასს 16-ში შეტანილი ცვლილებები ადგენს დამატებით მოთხოვნებს, რომლებიც უკავშირდება გაყიდვისა და უკუ-გაქირავების ტრანზაქციების შემდგომ აღრიცხვას.

არამიმდინარე ვაღებულებები გარანტიებით

ბასს 1-ის ამ ცვლილებამ გააუმჯობესა იმ ინფორმაციის ხარისხი, რომელსაც კომპანიები აწვდიან, როდესაც ვალდებულების ანგარიშსწორების გადავადების უფლება დამოკიდებულია გარკვეულ გარანტიებზე. ცვლილებები ასევე პასუხობს დაინტერესებული მხარეების დაინტერესებას ვალდებულებების კლასიფიკაციის შესახებ.

მომწოდებლის დფინანსების შეთანხმებები

ბასს 7-ის შესწორებები კომპანიებს ავალდებულებს, რომ მათ დამატებითი ინფორმაცია გამოაქვეყნონ მომწოდებლების დფინანსების შეთანხმებების შესახებ. ამასთან, ფასს 7-ში აღნიშნული შესწორებები ამ შეთანხმებებს აქცევს ლიკვიდობის რისკის გამჟღავნების მოთხოვნებში ერთ-ერთ მაგალითად.

საერთაშორისო საგადასახადო ფორმა — პილრი მოფლის წესები

ბასს 12-ის შესწორებები დროებით ათავისუფლებს კომპანიებს გარკვეული ტიპის გადავადებული გადასახადების აღრიცხვისა და გამჟღავნების ვალდებულებებისგან, როდესაც ისინი დაკავშირებულია მეორე საყრდენის საგადასახადო წესებთან. ამასთან, ცვლილებები მოიცავს მიზნობრივ გამჟღავნების მოთხოვნებს იმ კომპანიებისთვის, რომლებიც ამ წესებით დაზარალებიან.

ცვლილებების გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებითი არ არის.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და ფულს ბანკში, რომელიც ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან, აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

უნივერსიტეტი ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას აღიარებს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების

მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, უნივერსიტეტი ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს რეალური ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივის/ვალდებულების რეალური ღირებულება განისაზღვრება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივის/ვალდებულების გარიგების ფასი, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირდება

„რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, მოიცავს უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა ფინანსური ინსტრუმენტის შესაძენად/გამოსაშვებად. ფინანსური აქტივების/ვალდებულებების გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც კლასიფიცირდება „რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, დაუყოვნებლივ გატარდება ხარჯებში.

უნივერსიტეტი ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, ანუ აქტივი აღიარდება იმ დღეს, როდესაც უნივერსიტეტი მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც უნივერსიტეტი მას გაასხვისებს.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის არსებითი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელმწიფოებრივ ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელმწიფოებრივ პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის გაყიდვა რეალური ღირებულებით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელმწიფოებრივ პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას. ყველა სხვა ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება და ფასდება „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“, თუ საწარმო არ გააკეთებს შეუქცევად არჩევანს, რომ თავდაპირველი აღიარებისას წილობრივი ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ასახოს სხვა სრულ შემოსავალში (რომელიც არ არის გამიზნული გასაყიდად ან არ არის აღიარებული პირობით ასანაზღაურებელ თანხად ბიზნესგაერთიანების დროს).

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) გაანგარიშების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს უნივერსიტეტის მიერ ფინანსური აქტივების რისკების შეფასება, კერძოდ მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებიდან, უნივერსიტეტი ახდენს მომდევნო 12 თვის საგარეულო საკრედიტო ზარალის რეზერვის გაანგარიშებას, რომელიც წარმოადგენს მომდევნო 12 თვის განმავლობაში არახელსაყრელი გარემოებების განვითარების შედეგად ფინანსური აქტივის შესაძლო გაუფასურების ზარალს. თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან აშკარაა მისი გაუფასურება, უნივერსიტეტი ქმნის რეზერვს, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ ზარალს (ECL). ამ შემთხვევაში ფინანსური აქტივის ECL არის ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემცირება, დისკონტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივების ღირებულების ნებისმიერი ცვლილება რომელიც აღრიცხულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - აისახება სხვა სრული შემოსავალში, ყველა სხვა შემთხვევაში - მოგება ზარალში.

უნივერსიტეტი მოთხოვნების და გაცემული სესხების გაუფასურების გაანგარიშებისას იყენებს გამარტივებულ მიდგომას ფასს 9-ის შესაბამისად. მოთხოვნები, რომელიც არ გაუფასურდება ინდივიდუალურად, უნივერსიტეტი მათ გაუფასურებას განსაზღვრავს კოლექტიურად, რომელიც დაფუძნებულია დავალიანების ამოღების უნივერსიტეტის წარსულ გამოცდილებაზე, პორტფელში დაგვიანებული გადახდების ზრდაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაში ცვლილებებზე და სხვ.

მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის გაანგარიშების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

ვადაგადაცილების დღეები	30 დღეზე ნაკლები	31 – 60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	180-360 დღე	360 დღეზე მეტი
დარეზერვების პროცენტულობა	0%	2%	5%	25%	50%	100%

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, თუ გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდში შემცირდება და ეს შემცირება გამყარებულია ობიექტური მტკიცებულებით გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარი მოვლენებით, მაშინ ხდება წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (პირდაპირ ან სავაჭრო დავალიანების საექვო მოთხოვნების რეზერვის კორექტირებით) მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. თუმცა, უკან დაბრუნების შედეგად, საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა თუ არ აღიარდებოდა გაუფასურება გაუფასურების უკან დაბრუნების დღეს.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის არსებითი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ფასს 9-ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს „შინაარსის ფორმაზე აღმატებულების“ პრინციპზე დაყრდნობით. კრიტერიუმები მოიცავს ორი სხვადასხვა სახის შეფასებას, რომელიც ხორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

- მესაკუთრეობის რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება
- კონტროლის გადაცემის შეფასება

აქტივების აღიარება/აღიარების შეწყვეტა სრულად მოხდება თუ აქტივები აღიარდება მხოლოდ უნივერსიტეტის შენარჩუნებული მოცულობის მიხედვით დამოკიდებულია თითოეული ფაქტის დეტალურ ანალიზზე.

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. უნივერსიტეტი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას ახდენს ორ კატეგორიად:

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL). ვალდებულებები ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება, როდესაც მათი ფლობის მთავარი მიზანი უახლოეს მომავალში მათი გაყიდვა ან გამოსყიდვა (სავაჭრო ვალდებულებები) ან ისინი წარმოადგენენ წარმოებულ ინსტრუმენტებს (გარდა წარმოებულ ინსტრუმენტებისა, რომლებიც განკუთვნილია ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტად) ან თავდაპირველი აღიარებისას აკმაყოფილებენ პირობებს ამ კატეგორიაში მოსახვედრად. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში რეალური ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული რეალური ღირებულების ნებისმიერი ცვლილება წარმოშობისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სხვა ფინანსური ვალდებულებები ყველა ვალდებულება, რომელიც არ გადანაწილდა წინა ჯგუფში ხვდება აღნიშნულ კატეგორიაში. აღნიშნული ვალდებულებები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

როგორც წესი, ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება სავაჭრო ვალდებულება და მიღებული სესხები. ჩვეულებრივ, არ ხდება იმ ვალდებულებების გადაფასება, რომლებიც კლასიფიცირებულია ამ კატეგორიაში, ვინაიდან ვალდებულების სიზუსტე მაღალია, ხოლო დაფარვის ვადა მოკლევადიანი.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულება უნივერსიტეტის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საბაჟო მოსაკრებელს და გადასახადს, ტრანსპორტირების, დატვირთვის და სხვა დანახარჯებს, რაც პირდაპირ არის მიკუთვნებადი საქონლის შემენაზე. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი საქმიანობისას, შემცირებული შეფასებული დასრულების და გაყიდვის ხარჯებით.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის არსებითი პრინციპები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ზარალი. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან, კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში.

შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები გამოიყენება ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშებისთვის:

	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლებში)
წიგნები	არ იცვითება
მანქანა დანადგარები	8 წელი
ოფისის აღჭურვილობა	8 წელი
ავეჯი და მოწყობილობები	8 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	8 წელი

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც უნივერსიტეტი მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება, მარაგების გარდა

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, გაუფასურების ხარჯის აღიარების გზით. გაუფასურების ხარჯის გაანგარიშება ხდება აქტივის აღდგენით ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და რეალურ ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უმეტესი.

გაუფასურების შესაფასებლად, აქტივები ჯგუფდება იმ დონემდე სადაც შესაძლებელია განცალკევებულად ფულადი სახსრების მოძრაობის იდენტიფიცირება. ყოველი სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს, არაფინანსური აქტივებზე, გუდვილის გარდა, რაზეც მოხდა გაუფასურება, ხდება იმის შეფასება გასაუქმებელი ხომ არ არის გაუფასურების ხარჯი.

გრანტები

გრანტების აღიარება არ ხდება, მანამდე სანამ არ არსებობს საფუძვლიანი მტკიცება, რომ უნივერსიტეტი შეესაბამება იმ მდგომარეობას, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია გრანტის მიღება. გრანტები რომლებიც მიზნად ისახავს, რომ უნივერსიტეტმა გასწიოს გარკვეული საგანმანათლებლო საქმიანობა, აღიარდება როგორც გადავადებული შემოსავალი საბალანსო ანგარიშგებაში და მოხდება მათი გადატანა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სისტემურად და რაციონალურ საფუძველზე, მასთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელების შესაბამისად.

სხვა გრანტები აღიარდება შემოსავლად იმ პერიოდის განმავლობაში, რომლის დროსაც ხორციელდება საგრანტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის არსებითი პრინციპები (გაგრძელება)

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. გადახდილი ავანსები კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება

აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული გადახდილი ავანსები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც უნივერსიტეტი მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა გადახდილი ავანსები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება გადახდილი ავანსებთან დაკავშირებული შესაძამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

იჯარები

იჯარის იდენტიფიკაცია

ხელშეკრულების დაწყებისას უნივერსიტეტი აფასებს ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, უნივერსიტეტი აფასებს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა ორივე შემდეგი უფლება:

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთელი სარგებლის მიღების უფლება და
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება

საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, უნივერსიტეტი აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარა უნივერსიტეტის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება როგორც:

- აქტივი, რომელიც წარმოადგენს იჯარის ვადის განმავლობაში იჯარის ობიექტის გამოყენების უფლებას და
- ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, საიჯარო ვალდებულება ფასდება იმ საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება. თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი. საიჯარო ვალდებულების შეფასებაში ცვლადი საიჯარო გადასახდელები გაიანგარიშება იმ მოცულობით, რამდენადაც ისინი დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის არსებული ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით. სხვა ცვლადი საიჯარო გადასახდელები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელსაც ისინი მიეკუთვნება.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, ასევე მოიცავს იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებასთან დაკავშირებულ შემდეგი სახის გადახდებს, რომლებიც განხორციელებული არ არის იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის:

2. სააღრიცხვო პოლიტიკის არსებითი პრინციპები (გაგრძელება)

- თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
- შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის უნივერსიტეტი აქტივის გამოყენების უფლებას აფასებს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას,
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივის გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით. თუ საიჯარო ხელშეკრულების თანახმად საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლება იჯარის ვადის დასრულებისას მოიჯარეს გადაეცემა, ან აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს მოიჯარის განზრახვას, რომ ის გამოიყენებს აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, აქტივს ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე.

სხვა შემთხვევაში, აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ უნივერსიტეტი ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი აღიარდება მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

თუ შეიცვალა თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის პირობის ფარგლებში ან შეიცვალა მომავალი საიჯარო გადახდები იმის გამო, რომ შეიცვალა ამ გადახდების განსაზღვრისთვის გამოსაყენებელი ინდექსი ან განაკვეთი, საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება იჯარის ვადის დასაწყისში განსაზღვრული დისკონტის განაკვეთის გამოყენებით. იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საიჯარო გადახდების ცვლილება გამოწვეულია ცვლადი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით.

იჯარის მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, თუ მოდიფიკაციის შედეგად იზრდება იჯარის გამოყენების სფერო და იჯარის ანაზღაურება იზრდება გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი ანაზღაურებით.

იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, იჯარის მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის მოიჯარე ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში, საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასება აღირიცხება შემდეგნაირად:

- მცირდება აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო. მოგება/ზარალში აღიარდება ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტასთან;
- კორექტირდება აქტივის გამოყენების უფლება იჯარის ყველა სხვა მოდიფიკაციის გათვალისწინებით.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის არსებითი პრინციპები (გაგრძელება)

იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება, შემდეგ პერიოდებთან ერთად: ა) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მათ შორის მიღებული საქმიანი პრაქტიკით გამყარებულს), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და ბ) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, უნივერსიტეტი განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება.

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის, საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივის გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული საშუალო სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საიჯარო გადასახდელების განსაზღვრა

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულს ჩანაწერს) იჯარის განახლების/გაგრძელების შესახებ. ამგვარი უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. უნივერსიტეტი ამგვარ მიღებულ საქმიანი პრაქტიკის განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადასახდელები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

მოკლევადიან იჯარა და იჯარის, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება

უნივერსიტეტმა გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებით, გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელს.

მოგების გადასახადი

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და მოქმედებს საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრიდან.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. მთავარ საგადასახადო ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა მოგების განაწილებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ფიზიკურ და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები სპეციფიურად იბეგრება. გაცემის მომენტში ასეთი სესხები იბეგრება მოგების გადასახადის 15%-იანი განაკვეთით, რომელიც საგადასახადო ორგანოს მიერ ანაზღაურდება სესხის დაფარვის შემდეგ. კომპანია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იყენებს პოლიტიკას რომლის მიხედვითაც ასეთი გადასახადები აღირიცხება წინასწარ გადახდილ გადასახადებად. ხოლო, სესხის დაფარვის და საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის ანაზღაურების მომენტში წინასწარ გადახდები უქმდება. ამრიგად, ასეთი ოპერაციები არ ახდენს გავლენას მოგება ზარალზე.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად გადახდის ფაქტობრივი თარიღისა ან იმ პერიოდისა,

რომლისთვისაც გადაიხდება დივიდენდები. საგადასახადო ვალდებულების თანხა დივიდენდების განაწილებაზე გამოითვლება როგორც წმინდა განაწილების თანხის 15/85-ი.

გამოცხადებულ და გადახდილ დივიდენდებზე საგადასახადო ვალდებულების ურთიერთგადაფარვა ხელმისაწვდომია 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე გადახდილ მოგების გადასახადზე, თუ ასეთი მოგება განაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მოგების გადასახადის იმ კონკრეტულ ოპერაციებზე დარიცხვას, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებები და ზღვრულ მოცულობაზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯები. კომპანია ამგვარი ოპერაციის დაბეგვრას არ განიხილავს ბასს 12-ის (მოგების გადასახადები) ფარგლებში და გადასახადს ამგვარ ერთეულებზე აღრიცხავს როგორც გადასახადებს, მოგების გადასახადის გარდა.

გადავადებული გადასახადი

საქართველოს საგადასახადო სისტემაში შესული ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებით სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის არსებითი პრინციპები (გაგრძელება)

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

უნივერსიტეტის საწესდებო კაპიტალის მოცულობა და მისი ცვლილებები განისაზღვრება უნივერსიტეტის მფლობელის გადაწყვეტილებით.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი

შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა უნივერსიტეტიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა უნივერსიტეტში მოსალოდნელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ უნივერსიტეტს აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა უნივერსიტეტში მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. უნივერსიტეტში ანარიცხი აღიარდება, როდესაც უნივერსიტეტს აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა; და შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვევო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ზონუსები და არაფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლებისგან.

ამონაგები

უნივერსიტეტი აღიარებს შემოსავალს დაპირებული მომსახურების მომხმარებლებისთვის გაწევისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც მოელის ამ მომსახურების გაწევის სანაცვლოდ. უნივერსიტეტი იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

უნივერსიტეტი შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების ანუ მაშინ, როდესაც გაიწევა შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებული მომსახურება. მომხმარებელს გადაეცემა.

უნივერსიტეტი არის აკრედიტირებული, უმაღლესი საგანმანათლებლო კერძო დაწესებულება, რომელიც მდებარეობს თბილისში. უნივერსიტეტი ეწევა საგანმანათლებლო მომსახურებას, ძირითადად, უმაღლესი განათლების ეტაპზე მყოფი სტუდენტებისთვის.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის არსებითი პრინციპები (გაგრძელება)

უნივერსიტეტი იღებს შემოსავალს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამებიდან: ბიზნესი, სამართალი, საერთაშორისო ურთიერთობები, კომპიუტერული მეცნიერებები, ფიზიკის სკოლა, მართვა და საზოგადოებრივი მეცნიერებები და სხვა.

შემოსავალი გაწეული საგანმანათლებლო მომსახურებიდან აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც გაიწევა მომსახურება. ფიქსირებული ფასის ხელშეკრულებებისთვის შემოსავალი აღიარდება იმ მოცულობით, რომლის ფარგლებშიც უნივერსიტეტს აქვს უფლება, რომ მომხმარებელს წარუდგინოს ინვოისი. ეს დამოკიდებულია მომხმარებლისთვის გაწეულ ფაქტობრივად შესრულებულ მომსახურებაზე.

უნივერსიტეტი იღებს შემოსავალს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამებიდან: ბიზნესი, სამართალი, მედია, ტექნოლოგიები, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერება, სახელმწიფო მართვა, ტურიზმი და ეკონომიკა, ჯანდაცვა და სხვა.

შემოსავალი გაწეული საგანმანათლებლო მომსახურებიდან აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც გაიწევა მომსახურება. ფიქსირებული ფასის ხელშეკრულებებისთვის შემოსავალი აღიარდება იმ მოცულობით, რომლის ფარგლებშიც უნივერსიტეტს აქვს უფლება, რომ მომხმარებელს წარუდგინოს ინვოისი. ეს დამოკიდებულია მომხმარებლისთვის გაწეულ ფაქტობრივად შესრულებულ მომსახურებაზე.

უნივერსიტეტის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

მომხმარებლის მიერ ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა შეიძლება იცვლებოდეს ფასდაკლების ან სხვადასხვა სახის სპეციალური ფასდათმობის შედეგად. უნივერსიტეტის მისაღები ანაზღაურება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში არ მოიცავს ცვალებად თანხას.

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირდება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული, ან გადახდილი საკომისიოს, გარიგებების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სხვა ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ფინანსურ ანგარიშგებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს გარკვეულმა მოვლენებმა, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდეგ ხდება. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძველში, საზოგადოდ, განსაზღვრულია ორი ტიპის მოვლენა:

- ა) მაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის (ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) არსებულ პირობებზე; და
- ბ) არამაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს იმ პირობებზე, რომლებიც წარმოიშვა ფინანსური ანგარიშგების თარიღის (ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) შემდგომ პერიოდში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

უნივერსიტეტი აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. ხელმძღვანელობის მიერ უნივერსიტეტის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და ცვლილებების ინტერპრეტაცია შეიძლება შესაბამისმა ორგანოებმა ექვემდებარებოდნენ. შემოწმებისას შეიძლება მოხდეს დამატებითი გადასახდელების, ჯარიმების ან საურავების დარიცხვა. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მის მიერ შესაბამისი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია ჯეროვანია და რომ უნივერსიტეტის საგადასახადო სტატუსი უცვლელი დარჩება.

მოთხოვნებისა და გაცემული სესხების გაუფასურება

უნივერსიტეტი რეგულარულად ამოწმებს თავის მოთხოვნებს, ასევე გაცემულ სესხებს გაუფასურების შესაფასებლად. ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებისთვის ფასს 9-ის მიხედვით ანარიცხი დამოკიდებულია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე (ECL), რომელიც განისაზღვრება შემდგომი თორმეტი თვის განმავლობაში დეფოლტის ალბათობით, თუ არ მოხდა მნიშვნელოვანი ზრდა საკრედიტო რისკში წარმოშობის შემდგომ. თუ ფინანსური აქტივი შეესაბამება “შემენილი ან შექმნილი

გაუფასურებული ფინანსური აქტივების “(POCI)-ის განმარტებას, ანარიცხი დამოკიდებულია ELC-ის ცვლილებაზე აქტივის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში.

იჯარის გაგრძელების უფლება

როდესაც საწარმოს აქვს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება, ხელმძღვანელობამ უნდა შეაფასოს, საკმარისად სარწმუნო იქნება თუ არა ამ უფლების გამოყენება. ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა ფაქტს და გარემოებას, მათ შორის წარსულ გამოცდილებას და ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც

გაწეული იქნება აქტივის შესაცვლელად, თუ ეს უფლება არ იქნება გამოყენებული, რაც მათ დაეხმარება საიჯარო პირობების განსასაზღვრად. ხელმძღვანელობა თვლის რომ მათი შეფასება ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ადეკვატურია.

ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშება

კომპანია რეტროსპექტულად ასწორებს წინა პერიოდის არსებით შეცდომებს გამოსაცემად ნებადართულ პირველივე ფინანსურ ანგარიშგებაში მას შემდეგ, რაც შეცდომები გამოვლინდება და ამას აკეთებს შემდეგი გზით: იმ წარდგენილი პერიოდის (პერიოდების) შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშებით, რომელშიც დაშვებულ იქნა შეცდომა; ან ყველაზე ადრეული პერიოდის აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთების გადაანგარიშებით, თუ შეცდომა დაშვებულ იქნა წარდგენილ პერიოდთან ყველაზე წინა პერიოდამდე. ფინანსური ანგარიშგება წინა პერიოდების შესადარისი ინფორმაციის ჩათვლით წარმოდგენილია ისე, თითქოს შესწორება განხორციელდა იმ პერიოდში, როდესაც წარმოიშვა ამის აუცილებლობა. შესაბამისად, შესწორების ოდენობა, რომელიც ეხება თითოეულ წარდგენილ პერიოდს, შედის ამ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში.

4. გაცემული სესხები

უნივერსიტეტს სესხები გაცემული აქვს დაკავშირებულ მხარეებზე. გაცემული სესხები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისა და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შემდეგია:

სესხის დასახელება	სესხის მიმღები	ვალუტა	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023*(გადაანგარიშებული)	1 იანვარი 2023 (გადაანგარიშებული)
სესხი აგრუნი 04.06.2018	აიიპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	ლარი	04.06.2018	04.06.2026	712	640	576
სესხი აგრომეტი 14.11.2017	შპს აგრომეტი	ლარი	13.11.2017	13.11.2027	477	428	387
სესხი აგრომეტი 07.08.2018	შპს აგრომეტი	ლარი	07.08.2018	07.08.2026	407	366	329
სესხი აგრომეტი 17.09.2018	შპს აგრომეტი	ლარი	17.09.2018	17.09.2026	200	179	161
სესხი აგრომეტი 12.11.2018	შპს აგრომეტი	ლარი	12.11.2018	12.11.2026	677	610	549
სესხი აგრომეტი 13.06.2019	შპს აგრომეტი	ლარი	13.06.2019	13.06.2024	512	462	416
სესხი აგრომეტი 18.07.2019	შპს აგრომეტი	ლარი	18.07.2019	18.07.2024	866	782	707
სესხი აგრომეტი 12.11.2019	შპს აგრომეტი	ლარი	12.11.2019	12.11.2024	602	542	488
სესხი აგრომეტი 14.05.2020	შპს აგრომეტი	ლარი	14.05.2020	14.05.2030	353	314	280
სესხი აგრომეტი 13.07.2020	შპს აგრომეტი	ლარი	13.07.2020	13.07.2030	485	433	386
სესხი აგრომეტი 23.07.2021	შპს აგრომეტი	ლარი	23.07.2021	23.07.2028	456	403	356
სესხი აგრომეტი 20.10.2021 1 500 000	შპს აგრომეტი	ლარი	20.10.2021	20.10.2027	1,232	1,093	969
სესხი აგრომეტი 12.04.2022	შპს აგრომეტი	ლარი	12.04.2022	12.04.2024	277	244	214
სესხი აგრომეტი 03.06.2022	შპს აგრომეტი	ლარი	03.06.2022	03.06.2024	799	702	616
სესხი აგრომეტი 07.12.2022	შპს აგრომეტი	ლარი	07.12.2022	07.12.2024	231	202	177
სესხი აგრომეტი 02.05.2023	შპს აგრომეტი	ლარი	02.05.2023	02.05.2025	1,287	1,128	-
სესხი აგრომეტი 05.09.2023	შპს აგრომეტი	ლარი	05.11.2023	05.11.2025	464	407	-
სესხი აგრომეტი 31.10.2023	შპს აგრომეტი	ლარი	31.10.2023	31.10.2025	552	488	-
სესხი აგრომეტი 24.11.2023. 500 000 ლარი	შპს აგრომეტი	ლარი	24.11.2023	24.11.2025	452	399	-
სესხი აგრომეტი 12.02.2024. 500 000 ლარი	შპს აგრომეტი	ლარი	12.02.2024	12.02.2026	485	-	-

შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი“
ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ლარში)

სესხი აგრომეტი 12.06.2024	შპს აგრომეტი	ლარი	12.06.2024	12.06.2026	453	-	-
სესხი აგრომეტი 25.07.2024. 500 000 ლარი	შპს აგრომეტი	ლარი	25.07.2024	25.07.2026	439	-	-
სესხი აგრომეტი 11.09.2024. 500 000 ლარი	შპს აგრომეტი	ლარი	11.09.2024	11.09.2026	429	-	-
სესხი აგრომეტი 27.11.2024. 500 000 ლარი	შპს აგრომეტი	ლარი	27.11.2024	27.11.2026	406	-	-
სესხი თბილისის თავისუფალი სკოლა 1 100 000 ლარი. 17.09.2024	შპს თბილისის თავისუფალი სკოლა	ლარი	17.09.2024	07.01.2025	1,076	-	-
სესხი თბილისის თავისუფალი სკოლა 280 000 ლარი. 31.10.2024	შპს თბილისის თავისუფალი სკოლა	ლარი	31.10.2024	07.01.2025	270	-	-
სესხი აგრუნი საცდ. ბაზები 07.03.2022	შპს აგრარული უნივერსიტეტის საცდელი ბაზები	ლარი	07.03.2022	07.03.2024	172	152	134
სესხი აგრუნი საცდ. ბაზები 24.04.2023	შპს აგრარული უნივერსიტეტის საცდელი ბაზები	ლარი	24.04.2023	24.04.2025	625	548	-
სესხი აგრუნი საცდ. ბაზები 05.02.2024	შპს აგრარული უნივერსიტეტის საცდელი ბაზები	ლარი	05.02.2024	05.02.2026	147	-	-
სესხი აგრუნი საცდ. ბაზები 14.03.2024	შპს აგრარული უნივერსიტეტის საცდელი ბაზები	ლარი	13.03.2024	13.03.2026	286	-	-
სესხი აგრუნი საცდ. ბაზები 26.04.2024	შპს აგრარული უნივერსიტეტის საცდელი ბაზები	ლარი	26.04.2024	26.04.2026	325	-	-
სესხი აგრუნი საცდ. ბაზები 15.07.2024	შპს აგრარული უნივერსიტეტის საცდელი ბაზები	ლარი	15.07.2024	15.07.2026	311	-	-
სესხი აგრუნი საცდ. ბაზები 15.10.2024	შპს აგრარული უნივერსიტეტის საცდელი ბაზები	ლარი	15.10.2024	15.10.2026	210	-	-
სესხი აგრუნი საცდ. ბაზები 24.12.2024	შპს აგრარული უნივერსიტეტის საცდელი ბაზები	ლარი	24.12.2024	24.12.2026	82	-	-

შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი“
 ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ლარში)

სულ გაცემული სესხები	16,757	10,522	6,745
სესხის ძირი	14,225	9,550	6,745
დარიცხული პროცენტი	2,532	972	-

დარიცხული პროცენტის გადახდა მოხდება სესხის ძირთან ერთად. უნივერსიტეტმა გაცემული სესხები შეაფასა დისკონტირებული ღირებულებით 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისა და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023 (გადაანგარიშებული)
საწყისი ნაშთი	10,522	6,745
სესხის გაცემა	5,380	3,450
გაცემული სესხების სამართლიანი ღირებულების ცვლილება (შენიშვნა 22)	(705)	(645)
საპროცენტო შემოსავალი	1,560	972
საბოლოო ნაშთი	16,757	10,522

5. ძირითადი საშუალებები

უნივერსიტეტის ძირითადი საშუალებები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

ისტორიული ღირებულება	აქტივები გამოყენების უფლებით	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და მოწყობილობები	წიგნები	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	სულ
31 დეკემბერი 2022	1,272	287	242	391	289	49	199	2,729
შესყიდვები	-	32	3	7	79	-	3	124
გასვლა	-	-	(8)	(2)	-	-	-	(10)
31 დეკემბერი 2023	1,272	319	237	396	368	49	202	2,843
შესყიდვები	416	11	19	3	53	-	-	502
გასვლა	-	-	(1)	-	(12)	-	(36)	(49)
31 დეკემბერი 2024	1,688	330	255	399	409	49	166	3,296
დაგროვებული ცვეთა								
31 დეკემბერი 2022	201	171	241	-	92	49	93	847
ცვეთის ხარჯები	197	28	-	-	30	-	22	277
გასვლის ცვეთა	-	-	(8)	-	-	-	-	(8)
31 დეკემბერი 2023	398	199	233	-	122	49	115	1,116
ცვეთის ხარჯები	130	28	1	-	60	-	19	238
გასვლის ცვეთა	-	-	(1)	-	(8)	-	(33)	(42)
31 დეკემბერი 2024	528	227	233	-	174	49	101	1,312
წმინდა საბალანსო ღირებულება								
31 დეკემბერი 2023	874	120	4	396	246	-	87	1,727
31 დეკემბერი 2024	1,160	103	22	399	235	-	65	1,984

სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებების ღირებულებამ 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 63 ათასი ლარი და 42 ათას ლარი, შესაბამისად.

6. დეპოზიტები

უნივერსიტეტის დეპოზიტები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
თიბისი ბანკი	10,394	2,756
საქართველოს ბანკი	5,122	4,992
ტერა ბანკი	2,966	2,685
სულ დეპოზიტები	18,482	10,433

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, წმინდა

უნივერსიტეტის მოთხოვნები მომსახურებიდან და მიწოდებიდან 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისა და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შემდეგია:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023 (გადაანგარიშებული)	1 იანვარი 2023 (გადაანგარიშებული)
ფინანსური მოთხოვნები			
გრძელვადიანი საგანმანათლებლო მომსახურებიდან	33,135	25,882	19,931
მოთხოვნები საგანმანათლებლო მომსახურებიდან	2,022	1,979	1,876
გაუფასურების რეზერვი	(1,588)	(1,243)	(1,052)
სხვა მოთხოვნები	8	33	18
	33,577	26,651	20,773
არაფინანსური მოთხოვნები			
ავანსები და წინასწარი გადახდები	42	88	1
	42	88	1
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, წმინდა	33,619	26,739	20,774

საექვო მოთხოვნების ანარიცხების 2024 და 2024 წლის განმავლობაში წარმოდგენილია შემდეგი სახით:

საექვო დებიტორული დავალიანების რეზერვი	2024	2023
ნაშთი წლის დასაწყისში	1,243	1,052
რეზერვის ცვლილება წლის განმავლობაში	345	191
ნაშთი წლის ბოლოს	1,588	1,243

8. ფული და ფულის ეკვივალენტები

უნივერსიტეტის ფული და ფულის ეკვივალენტები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	6,569	13,955
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	1,126	983
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	7,695	14,938

ფული და ფულის ეკვივალენტების გაუფასურების რეზერვი შექმნილი არ არის მათი მოკლევადიანი ხასიათიდან გამომდინარე.

9. საიჯარო ვალდებულება

უნივერსიტეტის საიჯარო ვალდებულება 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	2024	31 დეკემბერი 2023 (გადაანგარიშებული)
ნაშთი წლის დასაწყისში	975	1,133
დამატება/მოდიფიკაცია	315	-
საპროცენტო ხარჯი	261	149
გადახდები წლის განმავლობაში	(312)	(307)
ნაშთი წლის ბოლოს	1,239	975

უნივერსიტეტს დაკავშირებული მხარისგან, შპს აგრომეტისგან, იჯარით აქვს აღებული შენობა-ნაგებობები 2033 წლამდე.

10. სახელშეკრულებო ვალდებულება

უნივერსიტეტს წარმოექმნება გადავადებული შემოსავალი, რადგანაც სასწავლო სემესტრის დამთავრება არ ემთხვევა საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს- უნივერსიტეტის აკადემიური წელიწადი გრძელდება 10 თვე და იწყება სექტემბერში, ხოლო სრულდება ივნისში. უნივერსიტეტი შემოსავალს ძირითადად იღებს სემესტრულად, რომლის ხანგრძლივობა არის ხუთი თვე. უნივერსიტეტის გადავადებული შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს პირველი სემესტრის ბოლო თვის გადასახადი.

სახელშეკრულებო ვალდებულებამ, რომელიც წარმოადგებს უნივერსიტეტის - (შემოდგომის სემესტრის იანვრის თვის გადავადებულ შემოსავალს), 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 5,439 ათასი ლარი, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 5,570 ათასი ლარი, 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 5,869 ათასი ლარი.

11. მიღებული გრანტები

უნივერსიტეტის მიღებული გრანტები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023 (გადაანგარიშებული)
პერიოდის დასაწყისში	1,005	376
მიღებული გრანტები	534	841
შემოსავალი გრანტებიდან პერიოდის განმავლობაში	(527)	(212)
სულ მიღებული გრანტები	1,012	1,005

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

უნივერსიტეტის ვალდებულებები მომსახურებიდან და მიწოდებიდან 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო ვალდებულებები	443	555
გადასახდელი ხელფასები	8	18
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	451	573

13. კაპიტალი

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 294 ათას ლარს. 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია ა(ა)იპ ცოდნის ფონდი.

14. ამონაგები სტუდენტების მომსახურებიდან

ამონაგები სტუდენტების მომსახურებიდან 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
შემოსავალი უნივერსიტეტის სტუდენტებისგან	19,436	18,824
შემოსავალი სერტიფიცირებიდან	569	723
სხვა შემოსავალი	12	101
სულ ამონაგები სტუდენტების მომსახურებიდან	20,017	19,648

15. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

უნივერსიტეტის ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი შედგება შრომის ანაზღაურებისგან და თანამშრომელთა დაზღვევისგან. 2024 და 2023 წლებში უნივერსიტეტის ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი შედგება შემდეგი თანხებისგან:

	2024	2023
თანამშრომელთა ხელფასები	7,431	7,179
თანამშრომელთა დაზღვევა	99	96
სულ ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	7,530	7,275

16. გრანტებთან დაკავშირებული ხარჯები

გრანტებთან დაკავშირებული ხარჯები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
სერტიფიცირებასთან დაკავშირებული ხარჯები	273	113
გრანტის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები	223	162
სულ გრანტებთან დაკავშირებული ხარჯი	496	275

17. კომუნალური ხარჯები

უნივერსიტეტის კომუნალური ხარჯები შედგება ელექტროენერგიის, გაზის და წყლის გადასახადისგან. 2024 წელს კომუნალურმა ხარჯებმა შეადგინა 483 ათასი ლარი, ხოლო 2023 წელს 424 ათასი ლარი შესაბამისად.

18. მომსახურება და სხვა ხარჯები

მომსახურება და სხვა ხარჯები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
სამეურნეო ხარჯი	199	210
საკონსულტაციო ხარჯი	53	44
მომსახურების ხარჯი	43	27
აუდიტორის მომსახურების ხარჯი	37	38
საწვავის ხარჯი	24	18
სულ მომსახურება და სხვა ხარჯები	356	337

19. სხვა საოპერაციო ხარჯი

არასაოპერაციო ხარჯი 2024 და 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
პროექტები და ლექციები	368	202
ტრანსპორტის ხარჯი	106	71
იჯარის საპროცენტო ხარჯი	74	19
პროგრამული უზრუნველყოფა	58	51
საკანცელარიო	48	24
სპონსორობის ხარჯი	31	-
Zoom-ის მომსახურება	15	12
კომუნიკაცია	9	7
რემონტი	2	1
სხვა საერთო ხარჯი	42	39
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი	753	426

20. საპროცენტო შემოსავალი

უნივერსიტეტის საპროცენტო შემოსავლის წყაროს წარმოადგენს დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები და შემოსავალი დეპოზიტებიდან. გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი მერყეობს 10-დან 15%-მდე. დარიცხული მისაღები პროცენტის გადახდა მოხდება სესხის ძირთან ერთად.

საპროცენტო შემოსავალი 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
გრძელვადიანი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, წმინდა	3,736	2,906
ფული და ფულის ექვივალენტები (მიმდინარე ანგარიშები)	1,863	2,145
გაცემული სესხები	1,560	971
სულ საპროცენტო შემოსავალი	7,159	6,022

21. მოგება/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან, წმინდა

მოგება/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან, წმინდა 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება	441	119
ფული და ფულის ექვივალენტები	51	-
დეპოზიტები	390	118
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	1
საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი	2	1,180
ფული და ფულის ექვივალენტები	-	415
დეპოზიტები	-	764
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1	1
წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან	440	(1,061)

22. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
გრძელვადიანი მოთხოვნების სამართლიანი ღირებულების ცვლილება	1,589	2,137
ქველმოქმედების ხარჯი	1,000	-
გაცემული სესხების სამართლიანი ღირებულების ცვლილება	705	645
საიჯარო ვალდებულების პირობების ცვლილება	(102)	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	225	13
სულ სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა	3,417	2,795

23. ფინანსური რისკის მართვა

უნივერსიტეტი ადგას სხვადასხვა სახის რისკების წინაშე ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით მისი საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე. ფინანსური რისკის უმთავრესი სახეებია:

- საკრედიტო რისკი;
- საბაზრო რისკი (საპროცენტო, სავალუტო და სხვა საფასო რისკის ჩათვლით), და
- ლიკვიდურობის რისკი.

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი დაკავშირებულია ზემოთ მოცემული ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან.

უნივერსიტეტი ექვემდებარება *საკრედიტო რისკებს*, აღნიშნული რისკის მიხედვით საფრთხეს წარმოადგენს ის, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ სხვა მხარისათვის ვალდებულების ვერ შესრულებით წარმოიქმნება ფინანსური ზარალი. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება უნივერსიტეტის მიერ პროდუქციის შემდგომი გადახდის პირობით რეალიზების საფუძველზე და ასევე სხვა ტრანზაქციების საფუძველზე, რომელიც ზრდის ფინანსურ აქტივებს.

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
მოთხოვნები მომსახურებიდან	33,577	26,651
გაცემული სესხები	16,757	10,522
ფული და ფულის ეკვივალენტები	7,695	14,938
დეპოზიტები	18,482	10,433
საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა	76,511	62,544

საბაზრო რისკი - გამომდინარეობს (ა) საპროცენტო რისკში (ბ) სავალუტო რისკში, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები.

სავალუტო რისკი - უნივერსიტეტზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე სავალუტო გაცვლითი კურსის დომინანტურ დონეებში მომხდარი ცვლილებები.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია უნივერსიტეტის მგრძნობიარობა უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მიმართ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულება	წმინდა მონეტარული ფინანსური პოზიცია
31 დეკემბერი 2024			
აშშ დოლარი	10,497	(24)	10,473
ევრო	-	-	-
სულ	10,497	(24)	10,473
31 დეკემბერი 2023			
აშშ დოლარი	9,918	-	9,918

შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი“
 ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ლარში)

ევრო	-	-	-
სულ	9,918	-	9,918

გავლენა მოგება-ზარალზე	2024	2023
აშშ დოლარის 10%-ით გამყარება	1,047	992
აშშ დოლარის 10%-ით გაუფასურება	(1,047)	(992)

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი რომ სუბიექტს გაუძნელობა ფინანსური ვალდებულებების შესრულება. ლიკვიდურობის რისკი ეხება სესხების გადინების და სხვა ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს, მათი დაფარვის ვადის დადგომისას.

ლიკვიდურობის რისკი არსებობს მაშინ როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები არ ემთხვევა. აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადების დარეგულირება არსებითად მნიშვნელოვანია.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილებში ასახულია უნივერსიტეტის სახელმწიფო ვადიანობის ანალიზი 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

31 დეკემბერი 2024	< 1 წელი	1 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები			
გაცემული სესხები	4,726	12,031	16,757
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	442	33,135	33,577
დეპოზიტები	18,482	-	18,482
ფული და ფულის ეკვივალენტები	7,695	-	7,695
სულ ფინანსური აქტივები	31,345	45,166	76,511
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	451	-	451
საიჯარო ვალდებულებები	61	1,178	1,239
სულ ფინანსური ვალდებულებები	512	1,178	1,690
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	30,833	43,988	74,821

31 დეკემბერი 2023	< 1 წელი	1 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები			
გაცემული სესხები	3,085	7,437	10,522
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	769	25,882	26,651
დეპოზიტები	2,685	7,748	10,433
ფული და ფულის ეკვივალენტები	14,938	-	14,938
სულ ფინანსური აქტივები	21,477	41,067	62,544
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	573	-	573
საიჯარო ვალდებულებები	181	794	975
სულ ფინანსური ვალდებულებები	754	794	1,548
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	20,723	40,273	60,996

კაპიტალის უკმარისობის რისკის მართვა

უნივერსიტეტის კაპიტალის მართვა ხორციელდება ოპტიმალური კაპიტალის სტრუქტურის საჭიროებებიდან გამომდინარე. უნივერსიტეტი მართავს საკუთარ კაპიტალს საქმიანობის სფეროდან გამომდინარე სამართლებრივი მოთხოვნების შესაბამისად.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი, როდესაც სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო. უნივერსიტეტის საპროცენტო განაკვეთის რისკი მინიმალურია, რადგან უნივერსიტეტის სარგებლიანი ფინანსური ვალდებულებები შედგება დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხებისგან ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთში.

24. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები

უნივერსიტეტის დაკავშირებული მხარეები არიან ა(ა)იპ ცოდნის ფონდი და მისი შვილობილი კომპანიები.
დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები წარმოდგენილია ქვემოთ:

		31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ურთიერთობა		ბალანსი	ბალანსი
მოთხოვნები მომსახურებიდან		33,257	26,003
ა(ა)იპ "ცოდნის ფონდი"	მფლობელი	33,256	25,982
შპს აგრომეტი	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები	-	20
შპს აგრარული უნივერსიტეტის საცდელი ბაზები	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები	1	1
გაცემული სესხები		16,757	10,522
ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები	714	641
შპს აგრომეტი	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები	12,539	9,181
შპს აგრარული უნივერსიტეტის საცდელი ბაზები	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები	2,158	700
შპს თბილისის თავისუფალი სკოლა	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები	1,346	-
აქტივის გამოყენების უფლება		1,160	874
შპს აგრომეტი	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები	1,160	874
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		567	610
შპს სახლი დიღომში	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები	-	1
შპს სწავლების ცენტრი	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები	3	-
შპს აგრომეტი	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები	-	96
ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები	564	504
ა(ა)იპ "ცოდნის ფონდი"	მფლობელი	-	9
მიღებული ავანსები		217	-
შპს აგრომეტი	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები	217	-
საიჯარო ვალდებულება		1,239	975
შპს აგრომეტი	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები	1,239	975
მიღებული გრანტები		-	62
ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები	-	62
მარკეტინგისა და სარეკლამო ხარჯი		59	62
ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები	53	46
შპს სწავლების ცენტრი	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები	6	16
წარმომადგენლობითი ხარჯი		203	28
ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები	203	28

კომუნალური ხარჯები		483	424
შპს აგრომეტი	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები	483	424
გრანტებთან დაკავშირებული ხარჯი		15	7
ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები	15	7
საიჯარო ვალდებულებების საპროცენტო ხარჯი		261	149
შპს აგრომეტი	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები	261	149
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯი		130	197
შპს აგრომეტი	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები	130	197
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		1,000	-
ა(ა)იპ "ცოდნის ფონდი"	მფლობელი	1,000	-
საპროცენტო შემოსავალი		1,560	971
შპს აგრომეტი	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები	1,263	841
ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები	73	65
შპს თბილისის თავისუფალი სკოლა	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები	39	-
შპს აგრარული უნივერსიტეტის საცდელი ბაზები	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები	185	65
ხელმძღვანელობის ანაზღაურება		2024	2023
ხელფასები და თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი		138	128

25. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

კომპანიამ 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისა და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დისკონტირებული ღირებულებით შეაფასა მშობელი კომპანიის მიმართ არსებული სავაჭრო მოთხოვნები და დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები. ასევე კომპანია წინა პერიოდებში არასწორად ახდენდა შემოსავლებისა და ხარჯების კლასიფიცირებას, რაც გასწორდა შესაძარისი პერიოდებით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს ფინანსური ანგარიშგების დაკავშირებულ მუხლებზე კორექტირების ოდენობას.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება:			
ქართულ ლარში	2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (როგორც ადრე იყო წარდგენილი)	კორექტირებები	2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, წმინდა	40,411	(13,672)	26,739
გაცემული სესხები	18,439	(7,917)	10,522
აქტივის გამოყენების უფლება	1,209	(335)	874
საიჯარო ვალდებულება	1,943	(968)	975
სახელშეკრულებო ვალდებულება	1,667	3,903	5,570
მიღებული ავანსები	155	283	438
მიღებული გრანტები	419	586	1,005

შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი“
ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	82,212	(25,728)	56,484
--------------------------------	--------	----------	--------

ქართულ ლარში	2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (როგორც ადრე იყო წარდგენილი)	კორექტირებები	2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, წმინდა	35,200	(14,426)	20,774
გაცემული სესხები	13,797	(7,052)	6,745
აქტივის გამოყენების უფლება	1,068	2	1,070
საიჯარო ვალდებულება	1,051	82	1,133
სახელშეკრულებო ვალდებულება	1,668	4,200	5,868
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	69,620	(25,758)	43,862

მოგება-ზარალის ანგარიშგება და სხვა სრული შემოსავალი:

	2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (როგორც ადრე იყო წარდგენილი)	კორექტირებები	2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)
გრანტებთან დაკავშირებული შემოსავალი	798	(586)	212
სხვა შემოსავალი	18	(18)	-
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(7,181)	(94)	(7,275)
გრანტებთან დაკავშირებული ხარჯები	(309)	34	(275)
სტიპენდიები	(57)	57	-
ცვეთა და ამორტიზაცია	(490)	212	(278)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(935)	509	(426)
საპროცენტო შემოსავალი	3,637	2,385	6,022
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან, წმინდა	(1,061)	1	(1,060)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი, წმინდა	(325)	(2,470)	(2,795)

26. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 30 სექტემბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენებს:

- 2025 წლის იანვრიდან სექტემბრამდე უნივერსიტეტმა ურთიერთდამოკიდებულ მხარეებზე გასცა სესხი ჯამური ღირებულებით 2,625 ათასი ლარი.

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

მმართველობითი ანგარიში

2024

სარჩევი

საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა.....	37
სუბიექტის განვითარების გეგმები	37
ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ	37
კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	37
აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.....	38
ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ.....	41
ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	41

საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა

სუბიექტის განვითარების გეგმები

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი არის არამომგებიანი საქველმოქმედო ორგანიზაცია ცოდნის ფონდის მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. მისი ბენეფიციარები არიან ცოდნის მიმღებები - უშუალოდ სტუდენტები და, ამავე დროს, ქვეყანაში განათლების დონის გაუმჯობესების გზით, მთელი საზოგადოება. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მისიაა ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის დონეებზე:

- განავითაროს საქართველოში სწავლის, სწავლების, კვლევის და ახალი ცოდნის შექმნის საუკეთესო შესაძლებლობები.
- სტუდენტებს ჩამოუყალიბოს თავისუფალ და კრიტიკულ აზროვნებაზე დაფუძნებული ღირებულებები, რათა მათ შეძლონ სხვადასხვა გარემოში ორიენტირება და ადაპტირება, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება და იმ გამოწვევებისადმი შემოქმედებითი მიდგომა, რომელთაც მათ თანამედროვე, სწრაფად ცვალებადი სამყარო სთავაზობს
- უზრუნველყოს სწავლება და სწავლა ქართულ ენაზე, რათა ამ გზით ხელი შეუწყოს ქართული ენის, როგორც სამეცნიერო და საკომუნიკაციო ენის, განვითარებას
- იყოს ორიენტირებული სტუდენტების ინტერესებსა და მათ შემდგომ წარმატებაზე

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი ამჟამინდელ და მომავალ სტუდენტებს გზას უხსნის თავისუფალი შემეცნებისაკენ და შესაძლებლობას აძლევს მათ უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის დონეზე:

- ესმოდეო, რა არის ბუნება, საზოგადოება, ადამიანი და ხელოვნება
- შეეძლოთ რაოდენობრივი აზროვნება
- შეეძლოთ საკუთარი აზრის პროფესიულად და აკადემიურად გამართულად ზეპირად და წერილობით გადაცემა
- ახალი ცოდნის შესაძენად და შესაქმნელად მიმართონ კრიტიკულ და ანალიტიკურ აზროვნებას
- მორალური ღირებულებების საფუძველზე მიიღონ ეთიკური გადაწყვეტილებები
- აღიარებდნენ სამყაროს და საზოგადოების მრავალფეროვნებას და იყვნენ ტოლერანტული.

ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი მდებარეობს ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი #240, კახა ბენდუქიძის საუნივერსიტეტო კამპუსში. მას აქვს მხოლოდ ერთი ფილიალი.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული დონისმიზეზების მიმოხილვა

კვლევები არის უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილი და მუდმივად მიმდინარეობს უმაღლესი საგანმანათლებლო პროცესების პარალელურად.

უნივერსიტეტში კვლევები ხორციელდება საგანმანათლებლო ერთეულების, სკოლების მიერ. კვლევების მიზანია ახალი სასწავლო მექანიზმების შემუშავება და არსებული მიდგომების დახვეწა/მოდერნიზაცია, რაც სტუდენტს საქართველოს და მსოფლიო ბაზარზე, უფრო ეფექტურს და კონკურენტუნარიანს გახდის.

აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი ახორციელებს 22 უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას. საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე. ასევე უნივერსიტეტს აქვს პროფესიული პროგრამები.

თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება საგანმანათლებლო ერთეულის, სკოლის მიერ. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი რვა სკოლას აერთიანებს. ესენია:

- ბიზნესის სკოლა (ESM)
- საერთაშორისო ურთიერთობების სკოლა
- სამართლის სკოლა
- მათემატიკის, კომპიუტერული მეცნიერების და ინჟინერიის სკოლა (MACS[E])
- ფიზიკის სკოლა
- მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სკოლა
- ვიზუალური ხელოვნების, არქიტექტურის და დიზაინის სკოლა (VA[A]DS)
- სოციალური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სამაგისტრო და სადოქტორო სკოლა

უნივერსიტეტი ამჟამად ახორციელებს 12 საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას:

- ბიზნესის ადმინისტრირება
- ვიზუალური ხელოვნება
- ვიზუალური კომუნიკაცია
- ინტერიერის დიზაინი
- არქიტექტურა
- კომპიუტერული მეცნიერება და მათემატიკა
- ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერია
- ფიზიკა
- საერთაშორისო ურთიერთობები
- სამართალი
- მართვა და საზოგადოებრივი მეცნიერებები
- შენობის სისტემების ინჟინერია

6 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას:

- ბიზნესის ადმინისტრირება
- ოპერაციების მენეჯმენტი
- ფინანსები
- ბიზნესის სამართალი
- სოციალური მეცნიერებები
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა (საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტთან ერთად)

და 4 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას:

- ბიოლოგიის ერთობლივი სადოქტორო პროგრამა (საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტთან ერთად)
- ქიმიის ერთობლივი სადოქტორო პროგრამა (საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტთან ერთად)

- ფიზიკის ერთობლივი სადოქტორო პროგრამა (საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტთან ერთად)
- სოციალური მეცნიერებების სადოქტორო პროგრამა

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი არის სტუდენტებსა და მათ წარმატებაზე ორიენტირებული მაღალი რეპუტაციის უმაღლესი სასწავლო დაწესებულება და საქართველოში უმაღლესი განათლების ლიდერი. განათლების სამივე საფეხურზე თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის პროგრამები ეყრდნობა ლიბერალური განათლების პრინციპებს, სტუდენტებს უვითარებს შემოქმედებით და კრიტიკულ აზროვნებასა და პრაქტიკულ უნარებს.

2024 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით უნივერსიტეტში 3 223 აქტიური სტუდენტია. მათგან 2 856 სტუდენტი საბაკალავრო საფეხურზე, 351 სამაგისტრო საფეხურზე, ხოლო 16 სტუდენტი სადოქტორო საფეხურზე.

ცოდნის ფონდის შვილობილმა ორგანიზაციამ, თბილისის თავისუფალმა უნივერსიტეტმა 2018 წელს ავტორიზაციის ექსპერტთა (ერთი საერთაშორისო და ექვსი ადგილობრივი) შეფასებითა და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლობით მოიპოვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაცია საუკეთესო მაჩვენებლით. 2018 წელს ავტორიზაციის გავლა 28 უნივერსიტეტს უწევდა, საიდანაც შესაბამისი სტანდარტების დაკმაყოფილება 24-მა შეძლო. მხოლოდ თბილისის თავისუფალმა უნივერსიტეტმა 7-დან 7-ვე სტანდარტი სრულად დააკმაყოფილა. შესაბამისად, ეს იყო საუკეთესო მაჩვენებელი იმ უნივერსიტეტთა შორის, რომელთაც ავტორიზაცია 2018 სასწავლო წელს მოიპოვეს.

		31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023 (გადაანგარიშებული)	1 იანვარი 2023 (გადაანგარიშებული)
გრძელვადიანი აქტივები				
გაცემული სესხები	4	12,030	7,437	4,367
მირითადი საშუალებები	5	824	853	810
აქტივი გამოყენების უფლებით	5	1,160	874	1,070
არამატერიალური აქტივები		136	331	223
დეპოზიტები	6	-	7,748	-
გრძელვადიანი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, წმინდა	7	33,135	25,882	19,931
სულ გრძელვადიანი აქტივები		47,285	43,125	26,401
მიმდინარე აქტივები				
მარაგები		139	164	152
გაცემული სესხების მიმდინარე ნაწილი	4	4,727	3,085	2,378
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, წმინდა	7	484	857	843
წინასწარ გადახდილი გადასახადი, მოგების გარდა წინასწარგადახდილი მოგების გადასახადი		71	84	69
დეპოზიტები	6	106	107	108
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	18,482	2,685	8,665
		7,695	14,938	13,325
სულ მიმდინარე აქტივები		31,704	21,920	25,540
სულ აქტივები		78,989	65,045	51,941
გრძელვადიანი ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება	9	1,178	794	975
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,178	794	975
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სახელშეკრულებო ვალდებულება	10	5,439	5,570	5,868
მიღებული ავანსები		309	438	33
მიღებული გრანტები	11	1,012	1,005	376
მიმდინარე საიჯარო ვალდებულება	9	61	181	158
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	451	573	669
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		7,272	7,767	7,104
სულ ვალდებულებები		8,450	8,561	8,079
საწედბო კაპიტალი	13	294	294	294
გაუნაწილებელი მოგება		70,245	56,190	43,568
სულ კაპიტალი		70,539	56,484	43,862
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		78,989	65,045	51,941

	შენიშვნა	2024	2023 (გადაანგარიშებული)
ამონაგები			
ამონაგები სტუდენტების მომსახურებიდან	14	20,017	19,648
გრანტებთან დაკავშირებული შემოსავალი		527	212
სულ საოპერაციო შემოსავალი		20,544	19,860
საოპერაციო ხარჯები			
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	15	(7,530)	(7,275)
გრანტებთან დაკავშირებული ხარჯები	16	(496)	(275)
კომუნალური ხარჯები	17	(483)	(424)
მომსახურების და სხვა ხარჯები	18	(356)	(337)
საექვო მოთხოვნების ანარიცხის ცვლილება	7	(345)	(191)
ცვეთა და ამორტიზაცია	5	(282)	(278)
წარმომადგენლობითი ხარჯი		(253)	(31)
მარკეტინგის და სარეკლამო ხარჯი		(173)	(168)
სხვა საოპერაციო ხარჯები	19	(753)	(426)
საოპერაციო მოგება		9,873	10,455
საპროცენტო შემოსავალი	20	7,159	6,022
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან, წმინდა	21	440	(1,060)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	22	(3,417)	(2,795)
მოგება დაბეგვრამდე		14,055	12,622
მოგების გადასახადი		-	-
წლის წმინდა მოგება		14,055	12,622
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის მთლიანი სრული შემოსავალი		14,055	12,622

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, მას არ გააჩნია აქციები და შესაბამისად არ ახორციელებს საკუთარი აქციების შეძენას.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისათვის მთავარი რისკი არის ქვეყნის ეკონომიკის მერყეობა. ისევე როგორც სხვა ქართული კომპანიებისთვის, უნივერსიტეტის წარმატებული საქმიანობისთვის მნიშვნელოვანია სტაბილური ეკონომიკური გარემო.

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართულ ბაზარზე იყოს მაღალი მოთხოვნა მაღალკვალიფიციურ, პროფესიონალ და განათლებულ პერსონალზე.

ვახტანგ ლეჟავა

რექტორი

	შენიშვნა	2024	2023 (გადაანგარიშებული)
ამონაგები			
ამონაგები სტუდენტების მომსახურებიდან	14	20,017	19,648
გრანტებთან დაკავშირებული შემოსავალი		527	212
სულ საოპერაციო შემოსავალი		20,544	19,860
საოპერაციო ხარჯები			
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	15	(7,530)	(7,275)
გრანტებთან დაკავშირებული ხარჯები	16	(496)	(275)
კომუნალური ხარჯები	17	(483)	(424)
მომსახურების და სხვა ხარჯები	18	(356)	(337)
საექვო მოთხოვნების ანარიცხის ცვლილება	7	(345)	(191)
ცვეთა და ამორტიზაცია	5	(282)	(278)
წარმომადგენლობითი ხარჯი		(253)	(31)
მარკეტინგის და სარეკლამო ხარჯი		(173)	(168)
სხვა საოპერაციო ხარჯები	19	(753)	(426)
საოპერაციო მოგება		9,873	10,455
საპროცენტო შემოსავალი	20	7,159	6,022
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან, წმინდა	21	440	(1,060)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	22	(3,417)	(2,795)
მოგება დაბეგვრამდე		14,055	12,622
მოგების გადასახადი		-	-
წლის წმინდა მოგება		14,055	12,622
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის მთლიანი სრული შემოსავალი		14,055	12,622

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, მას არ გააჩნია აქციები და შესაბამისად არ ახორციელებს საკუთარი აქციების შეძენას.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისათვის მთავარი რისკი არის ქვეყნის ეკონომიკის მერყეობა. ისევე როგორც სხვა ქართული კომპანიებისთვის, უნივერსიტეტის წარმატებული საქმიანობისთვის მნიშვნელოვანია სტაბილური ეკონომიკური გარემო.

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართულ ბაზარზე იყოს მაღალი მოთხოვნა მაღალკვალიფიციურ, პროფესიონალ და განათლებულ პერსონალზე.

ვახტანგ ლეყავა

რექტორი